

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების მშობლების ფსიქიკური  
ჯანმრთელობის პრობლემები და სტრესთან გამკლავების სტატეგიები

გვანცა ჩვამანია

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## 1.2 განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ჩვამანია

27.06.16.

### 1.3 აბსტრაქტი

საერთაშორისო კვლევები, რომლებიც ორიენტირებულია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლების შესწავლაზე, ადასტურებენ აღიშნული ჯგუფის ადამიანებში მშობლობის სტრესის, დეპრესიისა და შფოთვის მაღალი მაჩვენებლის არსებობას.

მსგავსი კვლევა საქართველოში პირველად ტარდება და მიზნად ისახავს შეისწავლოს აუტიზმის მქონე ბავშვების დედებისა და მამების ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, კერძოდ დეპრესია და შფოთვა და ასევე მშობლების მიერ გამოყენებული სტრესის დაძლევის სტრატეგიები.

კვლევა ჩატარდა მენტალური ჯანმრთელობის ცენტრში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო აუტიზმის მქონე 40 ბავშვის 37 დედამ და 31 მამამ. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო მონაწილეობაზე თანხმობა და ბავშვის დიაგნოზი: ბავშვთა აუტიზმი (F 84.0) ან განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი (F 84.9).

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა კითხვარები: დეპრესიის საკვლევი სკალა (PHQ-9), შფოთვითი აშლილობის საკვლევი სკალა (GDA-7) და დაძლევის სტრატეგიების კითხვარი (COPE Inventory - Carver ).

მიღებული შედეგები ეხმიანება საერთაშორისო კვლევების დასკვნებს და ცხადყოფს ასა-ს მქონე ბავშვების მშობლებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების არსებობას. შედეგების თანახმად, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლებში დეპრესიის და შფოთვის მაჩვენებელი მაღალია ზოგად პოპულაციასთან შედარებით. კვლევაში მონაწილე დედების 58% და მამების 39% აქვს დეპრესია და დედების 55% და მამების 36% აქვს შფოთვა.

კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებადი დაძლევის სტრატეგიები საერთოა ორივე სქესის მშობელთათვის: დაგეგმვა - (დედა 85%; მამა 66%);

აქტიური გამკლავება (დედა 74%; მამა 58%); პოზიტიური რეინტერპრეტაცია და ზრდა (დედა 62%; მამა 48%).

დედებსა და მამებს შორის დაძლევის სტრატეგიების არჩევას გამოვლინდა გარკვეული განსხვავებები: დედები მამებთან შედარებით უფრო აქტიურად ირჩევენ პოზიტიური რეინტერპრეტაციის, მიღების, რელიგიური, ემოციურ ვინტილაციისა და ემოციური სოციალური მხარდაჭერის დაძლევის სტრატეგიებს. მამები დედებზე ხშირად მოიხმარენ ნივთიერებებს სტრესთან გამკლავების მიზნით.

კვლევის შედეგად გამოავლინდა სანდო კორელაციები მშობლის ფსიქიკურ მდგომარეობასა და დაძლევის ზოგიერთ სტრატეგიას შორის.

კვლევის შეზღუდვებია: 1. მონაწილეთა მცირე რაოდენობა; 2. კვლევაში ჩართული ბავშვების უმრავლესობა მამრობითი სქესისაა, კვლევა არ იძლევა მონაცემს ასა-ს მქონე გოგონების მშობლების ფსიქიკურ მდგომარეობაზე და დაძლევის სტრატეგიებზე; 3. კვლევაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის მშობლები, ვის შვილებსაც ინტენსიურად მიეწოდებოდათ თერაპია.

კვლევა აღწერთი ხასიათისაა და ავლენს მოცემული საკითხის სიღრმისეულად შესწავლის საჭიროებას. რეკომენდირებულია, ამ კუთხით კვლევების გაგრძელება.

**საძიებო სიტყვები:** აუტიზმი, აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლები, დედის დეპრესია, მამის დეპრესია, დედის შფოთვა, მამის შფოთვა, დაძლევის სტრატეგიები.

## 1.4 მადლობა

გაწეული დახმარების, დროული უკუკავშირისა და მხარდაჭერისათვის, დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს ქალბატონ ჯანა ჯავახიშვილს, ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო მახაშვილს და GIP-თბილისის თანამშრომელს ქეთი ფილაურს.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის ბენეფიციარებსა და მათ მშობლებს, რომელთა ჩართულობის გარეშე ეს კვლევა ვერ ჩატარდებოდა.